

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო.

# „ვახი და რვინო“

წელი წელი პირი უფლის.

№ 7

15 გაისი 1920 წ.

№ 7

შ ი ნ ა ს ი:

- |                       |                          |  |                               |  |                      |                                  |                             |                          |                             |                                |                               |
|-----------------------|--------------------------|--|-------------------------------|--|----------------------|----------------------------------|-----------------------------|--------------------------|-----------------------------|--------------------------------|-------------------------------|
| 1. მოწინავე . . . . . | 2. ყურძნის კია . . . . . | 3. შრომის საკითხი მევენახეობა-მეღვინეობაში . . . . . | 4. ღვინის წარმოშობა . . . . . | 5. კახეთის მევენახეობას და მეღვინეობის მდგომარეობა . . . . . | 6. ქრონიკა . . . . . | 7. წერილი ველისციხიდან . . . . . | 8. ანდრონიკაშვილი . . . . . | 9. ჩოლოყაშვილი . . . . . | 10. გერევანიშვილი . . . . . | 11. მის. შალამბერიძე . . . . . | 12. წინამძლვრიშვილი . . . . . |
|-----------------------|--------------------------|--|-------------------------------|--|----------------------|----------------------------------|-----------------------------|--------------------------|-----------------------------|--------------------------------|-------------------------------|

ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერვერობით გამოდეს თრ პერიოდი ერთხელ, არა ნაბეჭდის 16 გვერდისა. თათვის ნომრის ფასი საბჭოს მცდელობრივი — 10 მან. ამ ფასით ჟურნალის კამთვალი შეიძლება 6აში თვით.



ჟურნალის რედაქტორი იმუთვება საბჭოს ბინაზე — თბილისი,  
ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

ქორელასათროული  
ქაბული ლიცენზი



ТИФЛОСО  
ГОЛОВИНСК. ПР № 33 Д ГАМАМШЕВА, ТЕЛЕФ №  
КАХЕТИЯ: СТ. МУКУЗАНЬ, КАХ. ЖЕЛ ДОР.

თ ბ ი ჭ ი ს ი . რუსთაველის ქუჩა № 33.

კახეთი, სადგური „მუგურანი“, კახეთის რკინის გზა.

„კავშირა-კავშირი“ დარსებულია 918 წელს. წესდება დამცვეუტებულია  
თბილისის საოლქო სასამაღროლოს მიერ 8 თებერვალი 1919 წელს.

„კავშირთ-კავშირში“ შედიან ქელისყიხის, კურჭაანის და კარდანაშის  
შემნახველ გამსესქებელი ამხანაგობაზე -- 4400 წევრით, რომელთავ 4200  
დესც. ნა ვენახი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის“ გამცემის, მთავარი კონცერნი და სწყობი მომავსე-  
ბულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის ვზის სადყურ მუკურანთან.

ტბილისი 15 მაისს 1920 წ.

საქართველოს ბედ-იღბალი ხელახლად დედს განსაცდელშია: გაერთიანებულმა ადერბეიჯანელთა—ლეიია—ოსმალთა ძალებმა გაილაშქრეს საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. აღმოსავლეთიდან ადერბეიჯანის ჯარები შემოსევის უქადიან ჩევნს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი—თბილისის, ჩაღილებითიდან ლეკები ეცემიან ზაქათალის ოლქს და დასაცემთიდან ინგლისის კურთხევით და დამთარებით ქაბულეთის და აქარის ზნეობრივთ დაცემულ და შეუგნებულ შესრულებთა ნაწილი ანარქიას და უწესოებას ახდენს სამუსულმანი საქართველოში—ბათუმის ოლქი.

დღევანდელი დამუკიდებელი საქართველო იმავე გარეშე ჰილიტიკურ მდგრადებას განიცდის, რომელშიაც იგი მყიფებრიდა ასი წლის წინად რამდენსამე საუკუნის განმავლობაში. კულტურულად დაწინავებული და ბუნებით მდიდარი დამოუკიდებელი საქართველო ეწინააღმდეგება მაჰმადიანთა საერთო შიზნებს. შედარებით ეკონომიკურად შემძლები და განათლებული პატარა საქართველოს მართველი დემოკრატია გარს შემოიტყობი გაღმატებული, უპიროვნო და უენო მესულმანთა გლეხობით, როგორც განვლილ ისტორიულ ხნაში, აგრეთვე ებლაც წარმოადგენს სამაჰმადიანოს მართველთა შეებისათვის საკულიად მიუღებელ სურათს. საქართველოს თავის მაგალითთ საშიშმ შედეგს უქადის მათ ბატონობას. ამას გარდა საქართველოს გეოგრაფიული მდგრადება და ბუნებითი სისტემურებელად თვალსაჩინო, ხეირფასს და სტრატეგიულად დიდ მნიშვნელოვან კუთხეს

წარმოადგენს შეზობელ სამაჰმადიანო სახელმწიფურებისათვის, რომ მათ თავისუფლად დაგვიტოვონ ჩევნიდამოუკიდებლობა. ამიტომ მაჰმადიანთა ჩევნს დამოუკიდებლობაზე და გამოლაშქრება ისტორიულ მუდმივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და არა შემთხვევითად, ანუ დროებითი გარემოებად. და ვფიქრობთ რომ, როდესაც კი საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნება დაცული ერთსულოვანად, მთელ ქართველ ერის მიწაზე გამოიყოთ, და რამე შინაან-და გარეშე მიზეზების გამო ერის მთლიანობა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვაში მეტად თუ ნაკლებ შერეცელიერება, —მაშიალიანთა საქართველოზე გამოილაშქრება აუცილებლივ ყოველთვის მოხდება. ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ და გვახსოვდეს, რომ მუსულმანებით ირგვლივ შემორტყმულ საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი არ არის. საბედნიეროდ ჩევნი ერი შეგნებულია საქმის გარემოებაში. იგი საკმაო სახელმწიფოებრივს მისწრავებას და გამჭირახობას იჩენს. საქართველოს დამოუკიდებლობის და თავის უფლებას მოელი ქართველი ურიერთსულოვანად და ერთგულად იცავს და ეჭვს გარეშე მუდმივად დაიცავს; მაგრამ თუ ამსთან ავე სახელმწიფო ეკონომიკურად მძლავრი არი იქნება, მიუხედავად ერის ერთსულოვნობისა, სიმამცისა და გმირობისა დამოუკიდებლობის დაცვა შეუძლებელია. ამიტომ მტერთან ბრძოლისათვის ჩევნს მამაც ჯარს და გვარდიას თუშება მოვალენი ვართ შევწიროთ კველა ჩევნი ნივთიერიდა სხვა შეძლება, მეტადრე თუ ომის ხნაში ვართ, მაგრამ ამასთან ავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩევნი ეკონომიკური ძალა ჩევნს სასოფლო მეურნეობაშია და მისი შეტყვევა და

დაქვეითება—საფუძველს უთხრის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.

ომი აუცილებლად იწვევს სახელმწიფოს ეკანომიურს და ჩვეულებრივ ცხოვრების პირობების შერყევას და შეცვლას და უველა ძალების ფრინტისაკენ მიმართვას; მაგრამ ამ ფაქტის აუცილებლობა მით უშეტესად ავალებს ცველა შმროველთა დაწესებულებას, რომ მეტის ენერგიით, მეტის დაკავილებით და ყოველგვარი ზომებით ხელი შეუწყოს, რათა ჩვეულებრივი წარმოება სასოფლო მეურნეობისა არ იყოს შეწყვეტილი,—მიწები იყოს დახნულ დათვისილი და ვრნახები შემუშავებული. ოვით სახელმწიფოებრივი ტინანსიური ზომებიც, რომელიც გამოწვეული არის ლპის გამო განსაკუთრებული ხარჯით, უნდა იყვეს ისეთი ხასიათისა, რომ, რამდენათაც—კი შესაძლებელია, არ აფეჩხედეს სოფლის მეურნეობის წარმოებას.

სამწუხაროდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშოთ, რომ, მაგალითად, ჩვენი მევენანები იბა და მეღვინეობა, ეს უმთავრესი დარგთაგანი საქართველოს ცხოვრებთა ეკანომიურის ასტყანისა, მოკლებულია სათანადო სახელმწიფოებრივ მესვეურობას, და ვიმედოვნებთ, რომ თუ აქმდისინ რევოლუციონური ხანა ხელს უშლიდა სახელმწიფოს ნირმალურს ცხოვრებას, ამიერიდან მაინც ჩვენი მიწადმიმედების სამინისტრო იპოვის მეტს დროს და საშუალებებს, რომ ამ სასოფლო მეურნეობის დარგს გაუწიოს ის დახმარება და უყრადღება, რომელიც ეკუთვნის მას სახელმწიფოს ეკანომიურს ცხოვრებაში.

ი. გ. ანდრონიკაშვილი.



## უურძის ჭია

(Eudemis botrano W.)

ჩვენ ჟენახებს უურძის ჭიამ პირველათ თვალ-საჩინო ზარღლი მოუტანა 1844 წ. ამ წელს კახეთის ზოგიერთა ვენახების მოსავალი გაანახევრა და ზოგან მესამედზე დააყენა. შემდეგ წლებში ამ მავნეს თითქოს თვალსაჩინო ზიანი მოსავლისთვის არსად მიუუკენებია 1908 წლამდე; 1908 და 1909 წ. კი ისევ მოიხელა თავი და სილნალის მაზრის ვენახები, უფრო კი კარდანახის მიდამო, საგრძნობლათ დაზარალა. შარშანაც მოიხელა თავი ამ მავნემ და სოფლებს: კარდანახი, ანგა, ბაკურიშები, ვეჯინი და სხ., თვისი დაღი დაადო, ეჭეს გარეშეა, რომ ის მავნე წლეულაც იჩენს თავს, რადგან გაზაფხულზე ამის ნიშნები საქმოთ მოვალეობებოდა.

მავნებლობა ჭიისა გამოიხატება იმით, რომ იგი მუსსს ავლებს ოოგორც უურძის ყვავილს, ისე დაისკომიტეულ მარცელს და მერე მოწეულ უურძენსაც. საჭირო სუცნობთ გააცნოთ ჩვენ მკითხველებს ამ მავნეს ცხოვრება, განვითარება და აგრეთვე მასთან ბრძოლა.

უურძის ჭიის პეპელა პაწაწუინა არსება, მასი სიგა. არ აღემატება ცის. წინა ფრთხები რუხ მოწითანო ფერისაა, ლურჯ-ნაცრისფერ წინწლებით, უკანა ფრთხები კანაოლი ნაცრის ფერისა აქვს.

დაახლოვებით 20 აპრილში (ახ. სტილ.) პეპელა იდეილი შესახვედრია დაავადებულ ვენახებში დილა ადრიან და მზის ხასკლის დრას—ბინდამდე, დღის და ლამის განმავლობაში კი მიყუჩებული ზის ან ფოთლის უკანა მხარეზე ან სხვა უფრო იოლა თავშესაუარშეპეპელები ცოცლობენ 7—8 დღე. პეპლობენ, რის შემდეგაც თვითეული დედლი პეპელა სდებს გაბრეულათ მტევნის კოკრებზე 30—50 პაწაწუინა წყლის ფერ მოყვითანო, ოდნავ მოგძო კვერცხებს. ხუთიოდე დღის შემდეგ პაპრტებიდან იჩეკებიან ჭუკვიან მრმწვანო ფერის, ნათელ მორცხვო თავიანი, 16 ფეხიანი მატლები, რომელიც იკვებებიან ვაზის უურძის კოკრებით. მატლები აკეთებენ აბლაბუდის ქსელის მაგვარ საფარს და ხარბათ პმუ-

სრავენ ყურძნის დაუყვავილებელ კოქრებს; რამდენჯერმე კანს იცვლიან და როგო 9—10 თოთ სიგრძეს მიაღწევენ, რაც დაახლოებით მასისის გასულებში ხდება, იქვე კავილში თეთრ პარკუჭანას აკეთებს და ამ პარკუჭანში ჭუპრათ გარდიქნება ხოლმე. თვითეულ მტევანზე ხშირად რამდენიმე მატლი ბუფობს და გარდაქმნასაც აქვე აწარმოვებენ. ჭუპრიდან 8—10 დღის შემდეგ გამოიდის მეორე თაობის პეპელა, რომელიც არაურით განიიჩევა პირველ თაობის პეპელიგას, ისევე ცნოვრობს ოლონდ კვერცხების დებას იწყობს საამორო-კოდ დასცრიმებულ მარცლებზე. კვერცხებიდან იჩეკებინ შეირთ თაობის მატლები, რომელნიც გამოჩეკის უმაღ სვრეტნ ყურძნის მარცვალს, ჩადიან შიგ და საზღვროებენ მარცვლის შინაგანით; ერთი მარცვლის გამოხვრის შემდეგ გადადან მოროვ მარცვალზე და ამ გვასით თვითეული ჭა ათიოდე მარცვალს აკებს. მატლი უფრო ერთნება ტყუპათ მდებარე მარცვლებს და კუშ შტევანს. გამოხვრული მარცვლები კენებიან და ხემბიან, მხოლოდ თუ აედრიან ამინდია, შეიძლება ჩალპობა დაწყონან. გამოხვრული მარცვლები ადგილათ შესაძენევი არიან თავიდანვე, რადგან ჭიისგან გახვრეტლი აღავები მყაფიოთ მოსჩინან. მკათავის გასულს მეორე თაობის ჭია უკვე აღზრდილია, აკეთებს თეთრი ქსელის პარკუჭანას, უმეტეს შემთხვევაში თვით გამოხვრულ მარცვალში და ჭუპრათ გარდიქნება ხოლმე. მარიამიანისთვის 10 რიცხვებში პარკუჭანიდან გამოიდის მესამე თაობის პეპელა, რომელიც ისევ კვერცხებს სდებს ყურძნის მარცვლებზე. კვერცხებიდან მატლი იჩეკება მარიამიანისთვის 15—20 რიცხვებში და გამოჩეკის უმაღ იოლათ ხერეტს თვალ შესულ ურქენებს და ისევ ენებს ყურძნებს. როგორც მეორე თაობის მატლი: დაახლოებით ენკენისთვის გასულს აღზრდილი მატლი მოსქო პარკუჭანას აკეთებს სადმე მიმალულ ადგილს ან მერქნის ანახოთქში, ან ვაზის ქერქში ან ვაზის ხერელში ჭუპრათ გარდაიქნება ხოლმე და გაზაფხულამდე ძინინგბული ჩეჩება. აპრილის შუა რიცხვებში ჭუპრი გარდიქნება ხოლმე პეპელათ, რომელიც პირველ თაობის კვერცხს სდებს და ამ გვარათ ეს მავნე მწე-

რი წლიდან წლამდე თავის შთამომავლობის შენახვა-მომრავლების აწარმოებს. ცივი და წესტიანი აინდი ხელს უშლის მწერის მომრავლებას, რადგან ბევრი კვერცხი ფუჭდება და თვით პეპელაც უფრო ხანმოქლე დრო ცხოვრობს და ნაკლებ კვერცხს სდებს. როგორც აღნიშვნელ მავნე ერთი ზაფხულის განმავლა-ბაში სამ თაობათ ბარტყობს, პირველი თაობა მუსრს ავლებს ყურძნის კორებს, მეორე დაისკრიმინირულ ყურძნებს და მესამე—თვალშესულ ყურძნებს.

ზოგიერთ წლებში ზარალი მეტათ საგრძნობია ხოლმე, მევნახეს  $\frac{2}{3}$  მოსავლისა ეკარგება და თვით გადარჩენილი მისავლის ლირსება დაბალია, რადგან დავადებულ დამპალ ყურძნის წევნისგან დმდგარი ლინი მრავალ სწეულობას განიცდის. შენახვის დროს. მანესთან საბრძოლველათ ბევრ გვარ საშუალებას ხმარობენ; მათ შორის აღსანიშნავია პარიზის მწვანით მოწამელა ჭიისა, და ეს საშუალება უფრო ლირსშესანიშნავია სხვა გვარ ბრძოლასთან შედარებით:

პარიზის მწვანე საშინელი შეამია ყოველ ცხრევლისთვის და თვით აღამიანისათვისაც. ამიტომ ხმარების დროს სიფრთხილე საჭირო. ჭიამ სულ ოდნავ ნაწილიც კი რომ ჩაატაროს ამ შხამისა ჭამის დროს მოიშავება. ამ მიზნით ვერმორელის აპარატებით გაზს უნდა შეასხუროს ეს შხამი ან ცალკე მომზადებელი ან შაბიამანთან ერთათ შეზავებულია. თუ შაბიამანთან აზავებენ, ვთითეულ ვედრო დამზადებულ შაბიამანზე უმატებებ 4 მისხალ პარიზის მწვანეს, ანუ ჩაფიზედ ც მისხალს, ოლონდ პარიზის მწვანეს მიმატებს უმაღ სითხეს ურევენ არა ნაკლებ 10 წუთისა, რომ აითვალის კარგად მითევ სითხეში, რადგან იგი წყალში ვრ ისხნება. სჯობია პარიზის მწვანე ჯერ გათოვეთის ცოტაოდენ წყალში, მერე ჩაისხას შებიამნის მომზადებულ ჭურჭელში და კარგათ აიჩინოს. სწამლობენ გაზს ისევ. როგორც შებიამნით წამლობის დროს, ოლონდ მომუშავები ხშირად უნდა შეავანჭეაროს ხოლმე პარატი ზურგებდ, რომ პარიზის მწვანემ არ დაიღეჭის რა სითხე უშხამოთ არ შეასხეროს ვაზს, რადგან მატლი საკუთრივ ყვაიოს, და ყურძნებს ვანებს, ამიტომ მტევანს უნდა უხვათ შეეს-

ხუროს წამალი. შეიძლება წამლის მომზადება, უშაბიძმნოთ. ამ შემთხვევაში თვითულ ველრო წყალზედ იღებენ 4 მისხალ პარიზის მწვენეს, 8 მისხალ უწყლო კირს და 20—30 მისხალ ფქვილს ან შაქარს, ერთმანეთში არევენ კარგათ მიზრდილ ხის კასტებში და ვერმინელის აპარატებით ასხურებენ საკუთრივ მტევნებს. კირი საჭიროა რომ წამალმა არ დასწავს მეწანე ნაწილები — სიმჟავე მოსჩრდებოს, ხოლო ფქვილი ან შაქარი წამალს უკეთ მიაკონტარებს მეცნარებელ. ამ გვარათ შეზაფხული წამლის ხმარობის ღროსაც საჭიროა ხშირი დარევა სითხისა და ზურგზედაც აპარატის უჭიანესყარება, რომ საჭამლავმა არ დაილექს აპარატის ძირზედ და წამლობა უშედევოთ არ დარჩეს. წამლობა პარიზის მწვენით ვახს უნდა იმ ღრომის, ვიდრე კვერცხებიდგან გამოიჩინებიან მატები, რაღაც გამოჩეის უმაღარებიან მარცვალში, შიგვე იკვებებიან და შემის გავლენას არ განიდაან. ამის მიხედვით პირველი წამლობა უნდა გავთდეს აპარატის 25 რიცხვებში, მეორე წამლობა თიბათვის 15 რიცხვებში, მეორე მესამე წამლობა მარიამბასთვის 12 რიცხვებში. მეორე და მესამე წამლობის შემდეგ, როცა მატლის გამოჩეის ხანა დადგება, უნდა გადინილოს მტევნები, ყველა დაავადებული მარცვალი უნდა დაიკრიფოს და მდუღარე წყალში ჩაიყაროს, რომ მატლები დაიცუცვენენ. თუ ასე არ ემარჯვეს ამ მანესთან ბრძოლა, უხამ გადარჩენილი მწერები საგრძნობლათ დააზარალებენ მოსახლეს. ამ ბოლო დროს შემოიღეს უფრო რადგან გადარღვეული წამლობა — შეზაფხულ პარიზის სითხეს არ ასხურებენ მტევნებს, არამედ ქოთნებში ასხამენ და თვითულ მტევნას ქოთანში აბანებენ, ლონდ ქოთანს ხშირათ აქნაშეარგებენ მოსახლეს. ამ ბოლო დროს შემოიღეს უფრო რადგან გადარღვები მოაქეს და უმტეტეს შემთხვევაში ყველა მატლები იღუპებიან, რაღაც მტევნები მთლათ დაშხამული იქმნებიან. მესამე წამლობა ამ გვარათ საშიშია, რაღაც ყურძენი ლამის მოწეულია და შეიძლება მტევნას შხამი შეცვეს დაწურვის ღროსაც და მერე ლეინში გადავიდეს, თუ წვიმებში, არ ჩამორიგებეს შემდეგ.

ამ მავნით დავადებულ ვენახების გასხვლის დროს ვახს ქერქიც უნდა გაეცალოს, თუ პარუპანები შეამჩნიეს უნდა დაისრისონ, რაღაც როგორც მოვისენიეთ, მესამე თაობის შია პარუპანებს უმეტესს. შემთხვევაში ვახს ქერქის ქვეშ აკეთებს და ზამთრის განმავლობაში ჭუპრათ გადაქცეული თავს იქინახავს.

სიჭიროა, რომ წამლობა და ბრძოლა ამ მანესთან სწარმოებულის ყველა მეცნახესმიერ იმ რაიონში, სადაც მავნე აღმოჩნდება. რაღაც, თუ უწმოლეს ერთი მეცნახე და მისი მეცნობელი კი უყურადღიბოთ დასტოვებს ვრნასს, უწმლავ ვენაზიდგან შეესტვამავნე ნაწამლ ვანაში.

ევროპის სახელმწიფოებში, იქ სადაც ამ გვარი მავნე აღმოჩნდება ზოლმე, ოქების აგხონომიული კომისიის დადგნილებით მოვალეა ყველა მეცნახე უწამლოს ვახს და, თუ რომელიმე არ სწამლობს, თემი თავის ხარჯით სწამლობს ვენასს, ხოლო ხარჯს და ჯარიმას კი მერე ვენახის პატრონს ახდევინებენ.

აღვილი არ არის ყურძნის ჭიათან ბრძოლა, ბევრ დროს და დაკირეცხებას თხოულობს თვითულ მეცნახესაგან, მაგრამ ყველა კირს გაძლოლა უნდა და მოსახლეს გადარჩენა კი მოთლათ დამოკიდებულია მეცნახის მუყაითობაზედ.

ს. ჩოლაყაშვილი.



## შრომის საპითაი გევანახორგა-გეღვინეორგაში.

მეტია იმის შეტყიცება, თუ რაღილი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკანომიკურ მდგრამარების გამტკიცება — გაუმჯობესობისათვის შევნახება-მელევინეობას. საქართვისა გავისენთ, რომ ეს სოლფის მეურნების დარგები უძველესებია ჩვენს ქვეყანაში და დედამიწის ზურგზედ ბევრი არ მოიპოვება იმისთანა აღგილები, სადაც იმისთანა ღირსების ყურძნები და ღვინო მოღილებული მოღილების პატრიარქია საქართველოში; საჭიროა ისიც ვიკრიდვებ, რომ, საერთოთ, ყურძნები მეტად მცირება განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოდის შედარებით დედა მიწის სივრცესთან.

ამისათვის, გადამეტებულად არ იქნება თუ ვიტყვით რომ ჩენი ეკონომიური წინ-სელა, ჩენი ხალხის და რესპუბლიკის კეთილ-დღეობა ბევრით არის დამოკიდებული ამ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე: არც ერთს ეკინომიურს არფორმას არ შეუძლიან ისეთი სასურაველი შედეგები მოუტანოს ჩენის სამშობლის, როგორც ლონის-ძიებებს და საშუალებებს მეცნახეობის და მეღვინეობის შესახერ საფეხურზე ამჟანებს.

რევოლუციამ როგორც ყველას, ჩენის ხალხსაც ბევრი ბედნიერება მომგვარა: მუშა ხალხი გაპიტალის მომბიძევით განათვისუფლა. რვა საათის სამუშაო დროს შემოლება ცხოვრებაში განახორციელა და მუშა ხალხს შეძლება მიეცა ადამიანური ცხოვრებისა და თავისუფალ დროს კულტურულ შემოქმედებითი მუშაობისა; შეიძლება ითვეს, რომ სამუშაო დროს შემკირებას უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონია შედეგათ წარმოების შეკირება და მისი მოსპობა. მაგრამ არის წარმოების, შეურნეობის იმასთანა დარვი, რომელსაც რვა საათის მუშაობის შემოლებამ დიდი ზარალი მომგვარა და, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება სრულიადაც მოსპონ მეურნეობაც და თვით ხალხიც მე ვალისხმობ სოფლის მეურნეობას და განვითარებას და განვითარებას და მართლაც. ვინც კი მისდევს სოფლის მეურნეობას, ან ამუშავებს ვრცახს, იმისათვის აშეარა რვა საათის მუშაობის მავნებლობა. ამის დამტკიცებელი საპუთები მევრნახეობას და მართლაც. ვინც კი მისდევს სოფლის მეურნეობას, ან ამუშავებს ვრცახს, იმისათვის აშეარა რვა საათის მუშაობის მავნებლობა. ამის დამტკიცებელი საპუთები მეტად ბევრია თვით სოფლის მეურნეობის და მევრნახეობის წარმოებაში და იმ განსხვავებაში, რომელიც არსებობს მის და სხვა წარმოების შორის.

ქარხანაში ან ფაბრიკაში მუშაობა სწარმოებს დანურულ შენობაში და ამინდს არ შეუძლიან ხელი შეუშალოს მას. წარმოების ნაყოფიერება დამოკიდებულია უმთავრესათ ნედლ მასალის რაოდენობაზე და მან ჭანების სისტემის გაუმჯობესობაზეც. მუშა აյ პას-სიური პირა, იყი მანქანის ან წარმოების შედარებით პატარა ნაწილია: რაღვანაც მოელის წლის განმავლობაში და სიკურეტებიც ერთს და იმავე საქმეს აკეთებს და დაზურ ჰერიში უხდება მუშაობა, მალე იღლება და

ბეზრდება მუშაობა. ამ გვარ წარმოებიდან საქონელი წელიწადში რამდენჯერმე მიღება (სეზონის წარმოებების გარსა-როგორც არის შაქრის დამხადება, სპირტის და სხვა) და დამზადებული საქონელი პირდაპირ, ბაზარზე მიღის გასასყიდად: ასე რომ წარმოებაში დაბანდებული მომეტებული ნაწილი კაპიტალისა წელიწადში რამდენჯერმე შემოტრიალდება ხოლო. ამის გარდა, ქარხანაში ან ფაბრიკაში წარმოება არმ დროებით იყენებს შეჩერებული სრულიად არ ავნებს დასმაზადებელ საქონლის ღირსებას და ოვათ წარმოებასც. სულ სხვა ხსათისა მევრნახეობა. მუშაობა ცის ქვეშა სწარმოებს და მინდი ხშარად ხელს უშლის, აჩერებს და ზოგჯერ აენებს კადეც ნამუშავას და მუშაობას. მუშა აქ აღმზრდელ მშობლის თანამდებოსა ასრულებს. არც ასე კარგათ არის გამოხატული მევრნახის სიღლერაში „ვაზო. შეილივით აღზრდილო, ულაშებ მოგიგრებაშია.... მუშაობას მრავალ ფეროვანი ხასიათი აქვს (თოხნა, გასულა, გაფურჩენა და სხვა) და ყოველ გვარ მუშაობას განსაკუთრებული გვალენა აქვს ვაზზეც და ყურძის ღირებულებაზეც და ეს გარემოება მუშას ულვიძებს სიკეარულს, მეტს დაკირვებას და შემოქმედებას. ყოველ გვარი მუშაობა განსახლვულ დროს სწარმოებს და ეს გარემოება ისეთ პირობებას ჰქმის. რომ ზოგჯერ რომელმე მუშაობის დაგვიანება სრულიად ულვიძებს მეურნეს მოსავლს (წამლობა, გასხვლა და სხვა). მოსავალი წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოდას, რა თუ იმასაც მივიღეთ მხედველობაში. რომ ეს პროცესები უნდა გადამუშავდეს და ამას უნდება არა ნაკლებ კადეც ერთი წლისა, ადვილია წარმოვადგინოთ. რომ პროცესები ინუ სარგებლი დახარჯულ კაპიტალზეც მიღება არ უჩემდება რომ წლისა და ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო გვიანაც. და თუ სამუშაოები დროებიც არ იქმია შესრულებული ადვილად შეიძლება მწარმოებელმ დაკარგოს არა მარტო წლის მოსავალი. არავეც ძირითადი კაპიტალიც. არც დახარჯულია ვრცახის გაშენებაზეც. ისიც არის გასათვალისწინებელი. რომ თუ შევადარები სოფლის მუშის და ქალაქის მუშის მუშაობის დროს რაოდენობას მოელი წლის

განმავლობაში და მიეკიდეთ მხელელობაში იმ გარემოებას, რომ ზამთარში ვენააში არ შეიძლება მუშაობა ზოგჯერ სრულიადაც. სოფლის მუშას გაცილებით ნაკლები სათვალი გამოივა ნამუშებისა, და მაშასადმე უანა-სწორობაც ქალაქის მუშასთან.

ამისათვის არის, რომ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში კარგათ ესმით სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების განსაკუთრებული პირობები და არსად დედამიწის ზურგზედ მუშებს არა აქვთ მოთხოვნილი სოფლის მეურნეობაშიც რვა საათის მუშაობის დროს განხილულების საჭიროება: უმეტეს ჟემთვეებში მუშაობენ იმდენს, რამდენიც შეიძლება ამინდისა და საჭიროების მიხედვით. ვერც ერთმა გაუმჯობესებულმა მანქანამ სოფლის მეურნეობაში ვერ წასწია ნაშრომის ნაკოფიერება ისე როგორც ფაბრიკაში. პირადი მოშემძლი. მუშა იყო და არის უმთავრეს მომქმედათ, აქტიურ ნაწილად წარმოებისა, რომ ლისივანაც უმთავრესათ არის დამზადებული მეურნეობას კეთილ-დღეობა. ეს გარემოება კარგათ ესმას ყველა სოფლის. მუშას, და როცა იგი აწარმოებს თავის მეურნეობას არ ზოგად ჯარსა და ღონქს, ცდილობს. რომ რაც შეიძლება კოპშია, სუფთა, საღათ შეინახოს თავის ვენაინ და არა ნორმალურ ადამიანად ჩასთვლის, იმ პირს კულში მაინც, რომლიც უზრჩევს მას მხოლოდ რვა საათის მუშაობას მის ვენასში, როდესაც მას ესაჭიროება წამლობა, ან თომნა ან მოქრევა.

მაშასადმე, თუ გავითვალისწინებთ ყველა ნათქვას. ჩვენც არა ნორმალურად უნდა ჩავთვლოთ 8 საათის მუშაობა მეცნიერებაში, იგი მაზარალებელად და უსამართლოდაც უნდა იყვეს მინენელი.

მეცნიერება უფრო წააგავს ქანხის წარმოებას. მაგამ იმ დარგშიაც არის ხანა, როდესაც დაყოვნებას შეუძლიან აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანის მეურნეს. რთვილში, ყურძნის დაწურვის დოოს საჭიროა დაწყებული საქმე დასრულებული დაკვეთი. შეიძლება, ყურძნის წურვა მეცნიერებასთან უფრო ახლოსაც იყვეს თავის ხასიათით, ან და მათ შეუ გარდამასალ, ჯალაპმულ მომენტს შეა-

დგენდეს. ამის გარდა, რაღაცაც ლინის წარმოება ერთგვარ ორგანიზმის (მეცნიერებაში შესამჩნევი ადგილი უჭირავს ლინის დედის ცხოველმციცელებას) აღზრდას წარმოადგენს, უნდა საჭიროდ ცნობილი იყოს, რომ როკავი საქმე მოითხოვს სამუშაო დრო გადიდებულ იქმნას.

თუ გვინდა ჩვენი მეცნიერება და მეცნიერება მცვიდრ ნიადაგზედ დაცაყენოთ, ავყვავოთ და მართლა ხალხის მეურნეობის უმთავრეს შემოსავლის დარგათ გავხალოთ, საჭიროა მივიღოთ შემდევი დებულებანი:

1. მეცნიერებაში მარტიდნ — გიორგობისთვემდე მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა ნაკლებ 10 საათის, სხვა დროს კი 8 საათი.

2. თუ საჭიროება მოითხოვს მუშაობის დრო გადადებული უნდა იყენ და სავალდებულ ყველა მომუშავეთათვის ზედ დამატებით ფასი ანაზღაურებით გადამეტებულ მუშაობის დროისათვის.

3. სარდაფში ჩვეულებრივ მუშაობა უნდა სწარმოებდეს 8 საათი, ყურძნის დაწურვის დროს კი როგორც მეცნიერებაში.

4. თუ სარდაფში გარემოება მოითხოვს სავალდებულ უნდა გახდეს ზედ მეტი მუშაობა ფასის დამატებით.

აგრძნომი დ. გედევანიშვილი.



## ღვინის წარმომზადება.

მცირე განვითარების პირობებით, რაღაცაც ტკბილს დუღლილი და კავშირებულია მცირე — სოკოს განვითარებასთან, ამიტომ მოკლედ მოვისხენიებთ ზოვ იმ გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს მასზე. უპირველესად შევეხებით სითბოს გავლენას. თუმცა სხვა და სხვა ჯიშის მცირე სხვა და სხვა თბილანდს (ტემპერატურა) იტანს, განსხვავება ამ თბილანდთა შორის დიდი არ არის. სამაგიეროდ დიდი მცირველობა აქვს სიმშრალე-სინოტიეს: თუ მშრალი მცირე განიცდის სითბოს გავლენას,

მას 110°C-საც კი შეუძლია გაუქლოს; ზოლო, თუ იგი ნოტით, მაშინ 70-ზედაც ვეღარ სკოცხლობს და ბევრი მათგანი 50-ზედაც კი კვდება. სიცივის ატანა უფრო უკეთესად შეუძლიათ: გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყინულში ჩაყინული მცია, ყინულის გალხობის შემდეგ ისევ ჩვეულებრივს ცხვოვლყუფელობას იჩენს. და ეს არც გასაკვირვია: ჩვენ ვიცათ, რომ ზამთარის მცია მიწაში ატარებს (ზედაპირთან ახლო, ასაკებიველია) და მიწას კი ჩვენში ყოველწლიურ თოვლით არის დაფარული და ხშირად გაყინულიც. მციას რომ ამ სიცივის ატანა არ შესქლებოდა, მაშინ ის გაიყინებოდა და მოკვდდებოდა, ყურძის მწიფუაბის დროს დროს მტევანზე ვეღარ გაზინდებოდა და დაწურული ტკბალი ვეღარ აღდებული და. ჩვენი ტკბილი კი, ზამთარის ყინვების მატებდადად, ყოველთვის ღულს — სჩანს მციას ჩვენი ყინვა-სიცივე ვერასა ვნებს.

ტკბილის დუღილის დაწყებისათვის კველუხზე უფრო შესაჭირო თბილანდი (ტმპერატურა)  $10^{\circ}$ — $15^{\circ}$ -დება: თუ ტკბილში ბევრი შაქარია, მაგალითად  $20$ — $25\%$ , ამისთანა ტკბილისთვის უფრო შესაფერ თბილანდი ითვლება  $12$ — $15^{\circ}\text{C}$ , ხოლო თუ შაქარი  $20$  ასიდანზე (პროცენტზე) ნაკლებია, მაშინ უკითხისი  $10$ — $12^{\circ}\text{C}$ . თუ ტკბილის თბილანდი (ტმპერატურა) ალნიშულზე პატარაა მაშინ, თუმცა დუღილი მაინც სწარმოებს, მაგრამ ნელა მიმდინარეობს, დიდხანს გრძელდება და ნაწილი შაქრისა გავაზარდებელი რჩება: უფრო მაღალ თბილანდზე ( $30^{\circ}\text{C}$ -დება) კი დუღილი უფრო მძლავრად მიღის, დაგრამ მცემბა უფრო ადრე იხოცებან და შაქარი ტკბილში იგრძელება დაუშლელი რჩება.  $40^{\circ}\text{C}$ -ზე დუღილი სულ მთლად ჩერდება.

ნათელსახენად გამოცდილების მაგალითს მოვიყენ: გამოკლეულია, რომ თუ ტკბილმა  $4^{\circ}\text{C}$ -ზე დაიწყო დუღილი  $24$  საათის განმავლობაში მციადა რიცვი

$2,3$  ჯერ მატულობს,

$13^{\circ}\text{C}$ -ზე— $4,8$	,	"
$23^{\circ}$ ,	$-12,1$ ,	"
$28^{\circ}$ ,	$-17,6$ ,	"
$34^{\circ}$ ,	$-6,4$ ,	"
$38^{\circ}$ ,	$-0$ ,	"

ასე რომ ამ რიცხვების მიხედვით (რომელიც პეტერბურგის გამოკლეულს უკუთანის), ყველაზე ძლიერი ღუღილი სწარმოებს  $28^{\circ}\text{C}$ -ზე. მაგრამ, როგორც უკვე მოვისხენიეთ, ეს კიდევ იმას არა პირზავს, რომ ასეთ დუღილი ყველაზე სასურველი იყოს. ჩვენა ვთქვთ, რომ ამისთანა მძლავრ დეღილს დროს შაქარი და უშლელი რჩება, ე. ი. ღვინოში ნაკლები ძალარი ჩნდება, და ია ამისი დამატებიც ებელი რიცხვებიც. მაგალითისთვის აღებულია ძალიან ტკბილი ყურძის წვენი ოთხად განაზიარებული და ცალ-ცალკე სხვა და სხვა თბიდან და დაღულებული.

აღმოჩნდა, რომ $9^{\circ}\text{C}$ დაღუღილებულს $100$ კ. ც. ღვინოს ჭრინდა $13,71$ წინაშილი ძალარი
$18^{\circ}\text{C}$ დაღუღება. $12,69$
27 .. $9,70$
36 .. $6,40$

ამგვარად თუმცა დაბალ თბიდანდზე (ტმპერატურა) დუღილმა შეიძლება  $2$ — $3$  ჯერ უფრო დიდსხინს გასტანოს, მაგრამ სამაგიეროდ ღვინოში უფრო მეტი ძალარი ჩნდება ხოლო მაღალ თბიდანდზე, თუმცა დუღილი ჩქარა თავდება, მაგრამ ტკბილი სრულად არ დაღუღილება ხოლმე და ღვინოში შაქარი რჩება.

ჩვენში დიდი სიცემების გამო, და საღუღებელ ჭრილების თუ თვით ტკბილის გაციების შეუძლებლობის გამო, ტკბილი უცბათ მძლავრად იწყებს დუღილს მაღალს თბიდანდზე და ამიზომ (უკვე წინა წერილში) ში მოსხენებულ მიზნებთან ერთად ღვინოები ტკბილი რჩება. დუღილი კი უფრო დაბალ თბიდანდზე რომ სწარმოებდეს, ჩვენს ღვინოებში ძალარიც ცოტაობი უფრო მეტი იქნებოდა და სხვაგრძელება ღვინოები აგრე აღვილად არ დაზიანდებოდა, როგორც ეს ჩვეულება რიგად ზღება ხოლმე.

შაქრის რაოდენობის გავლენა მციაზე. თუ მცა მეღვინეობაში არა ვაკეს ხოლმე საჭმე ამ საკითხთან, მაგრამ ორიოდე სიცუპი მაინც მოვისხენებ, რომ მციას წლის შეუძლიაზედა იმისთანა ტკბილში, რომელშიც შაქრის რაოდენობა  $60$  ასიდანს (პროცენტს) აღწევს, და საერთოდ კი მისი თავისუფლად მოქმედება იზღუდება უკვე  $35\%-იან$  ტკბი

ლიდან.

ჰაერის გავლენა მციაზე და დუღილ-ჟე. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ თუ ჰაერისგან მთლად დახურულს ჭურჭლებში იყო დაწურული უურძნი, ამისთანა ტკბილი ნელ-ნელა შედიადა დუღილში. ხოლო თუ ამისთანა ტკბილში მნე ქანგიბით მძლავრად ჩაუბერავდნენ ჰაერს, მაშინ ტკბილუცა იწყებდა დუღილს, ობიდანიც (ტემპერატურა) რა-სა კაირებულობა ზევით იწყედა, მცაათ რიცხვი უცათ მრავლდებოდა და, რაღაც თავის სა-ზღიდო მცია უმთავრესად სხვადასხვა პაისნი-ვობებს ხმარობს, (ზორტან ნივთ). ამის გა-მო ჰაისკულობა (აზოტის ცულობა) დამ-დგარ ღვინოში უფრონაკლები იყო, ეს გარე-მოება რასაკაირველია ღვინოს გამძლეობას ჰამტებს, რაღაც ხმიგერთი ავადმყოფობა ამგვარ ღვინოს სცილდება.

ჰაერრეული ტკბილიდან მიღებული ღვინო ჩვეულებრივ საცხებით არის ხოლმე დაღულე-ბული, ჩქარა შრიფტება და გადაბრუნებაც ნაელებად იცას, —მაგრამ ჩვენებურად დაწუ-რულს ღვინოს ეს თითქმის სრულებით არც კი შეეხდა: სანამ ტკბილი ქვეერებში მო-გროვდება მას იმდენი შემთხვევა აქეს ჰაერი გაირის, რომ მისთვის ჰაერის ჩატერ-ვით სრულიად არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს. თუმცა დუღილის დროს საღუ-ლებელ ჭურჭლის პირთან მოვროვილ კლერტ-ის და ჩქნჩნ. ეკრედ წოდებულ „თავი“-ს ჩაბრუნებით ერთხას ჰაერის ჩარევასაც ვა-ლწევთ და ამით დუღილს ხელს უუწყობთ (თუმცა „თავის“, ჩაბრუნებას სულ სხვა მი, ზანი აქეს).

როდესაც უნდათ, დუღილი ჩქარა დამთავრ-დეს, ჰაერს ჩაურევნ ხოლმე არა შეოღონდ დუღილის დაწყებისას, არამედ შემდეგაც, დუ-ღილის დროს.

ჰაერის ჩარევით დუღილი ჩქარდება ერთის მნით, როგორც უკვე ზევითა ვოქვით, ღვი-ნის დედას შეწრავლად გამრავლებით; ხოლო მეორეს მნით იმ გარემოებით, რომ ტკბილ-ში ჰაერის ჩარევის დროს საღულებელ ჭურჭ-ლის შინაარის ირევა: დაბლა დალექტილი მცია —ღვინის დედა დაბლა დარჩენილ გაუნაწილებელ ტკბილთან ერთად ზევით ამოდის,

ცხოველდება და დუღილის მსვლელობაში სხვა მციებრივ ერთად კლავ მონაწილეობას იღებს —ამ გვარად ცხადია, როდესაც მციათა მეტი რიცხვი იღებს მონაწილეობას ზაქრის და-შლაში, დუღილი უფრო ჩქარა იწარმოებს და აღრეც დამთავრდება. მაგრამ ჰაერის ჩა-ბერების გავლენა ტკბილის დუღილზე სხვა-ფრივადაც აისწნება. საქმე ის არის, რომ —ეს უკვე დიდიხინია მოხსენებული იყო, —ზაქრის დაშლის დროს გაჩენანგი  $\text{CO}_2$ , წრ-მოადგენს ერთგვარ შხახს, რომელიც თუმცა არა ჰაისკულობას მციას, მაგრამ მის გამრავლებას მაინც ხელს უშლის. როდესაც ჩვენ ტკბილ-ში ჩაბერევით თუ სხვაფრივ ჰაერს ურევო, ამ დროს ტკბილი დიდს მოძრაობაშია და მასში გაჩენილი და გახსნილი შხამი ნახშეანგი  $\text{CO}_2$  აღვილად ჰაისკულდება მას —ეს გარემოება კი თავის მხრით ხელს უწყობს, როგორც მციის გამრავლებას, აგრედვე მის მიერ ზაქრის გა-ნაწილების საქმეს.

ყაველივე ზევით ნათქვამიდან ნათელი ზოე-ბა, რომ განსაკუთრებულმა მნიშვნელობა ეძლე-ვა ჰაერის ჩატერს, როდესაც ძალიან სქელ ტკბილთანა გვაქვს საქმე: ამ შემთხვევაში ბევ-რი ძალიარი (ულკაპოლი, სპირტი) და ნახშეანგი  $\text{CO}_2$  ჩნდება და თუ ეს უკანასკნელი არ გაიღვია, დუღილი ნელდება; ამას გარდა, მაშინ როდესაც ჭურჭლებში ზევით პირთან უკვე მოთლად დაღულებულია ხოლმე ტკბილი, დაბლა, ჭურჭლის ძირში ჯერ კიდევ ბლომბად მობოვება დაუშლელი შაქარი და, თუ ჩატერებით ტკბილი არ აირია, ნაწილი შაქრისა გა-უნაწილებელი დარჩება: ამას კი ხანგრძლივი ჩქნი დუღილი სდევს თანა და ღვინონ მღვრივი დრება დიდისან.

ამ ჰაერის ჩატერის დროს ერთს განსაკუთ-რებულს პირთანა უნდა მიექცეს ყურადღება: სახელდობრი იმას, რომ ჰაერის ჩარევა უნდა მოხდეს სანამ ღვინის დედა მშიგრიბის მდგო-მარებაში არ გადასულა, თორემ მცია ამ მდგომარეობაში თავის სიმსუბუქის გმო მო-ტივივებულირება ღვინოში და აგრე ადვი; ლად აღარ ილექტება —ღვინო ერთხანად მღვრი-ვე დარჩება.

(გაგძელება იქნება)

მას. ზალამბერიძე.

# პაჩეთის გევენახორგის და მაღლინეობის მდგრადარიგის.

(მოხსენება წაკითხული მევენახეთა და მედვი  
ნეთა კონკრეტულების შესრულების და მედვი

რომ საქართველოს სასოფლო მეურნეობის  
ქვეყანაა, ეს სადამ საგანს არ შეადგენს. მისი  
სასოფლო მეურნეობა უმთავრესად ემყრება  
მაღალ კულტურის სასოფლო სამეურნეო ნა-  
წარმოებთ: დეინონ, თამბაქო, ჩაი, ხილი, აბრე-  
შემი და სხ. შემოსავლით დარგებს. ყველა  
ამ დარგთა შორის უმთავრესი ადგილი უჭი-  
რავს ჩენში მევენახეობა-მედვინეობას, რომელ-  
საც საქართველოს სოფლის მცხოვრებთა 30  
პროც. მაინც მისდევს (ზე ათასამდე მევენახეობა).  
მაგრამ საქართველოს ყოველ კუთხეში  
ერთნაირი მნიშვნელობა არა იქნა მევენახეო-  
ბას: იგი ზოგან თუ მეორე ხარისხოვან ინუ  
დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, ზოგან  
ის უმთავრესი და ხშირად გრძად ერთი  
შემოსავლის წყარო. განსაკუთრებული მნი  
შენელობა საქართველოში მევენახეობას იქნა  
მთელ კახეთისთვის და უმთავრესად კი ალა-  
ზნის მარჯვენა ნაიპირზე ერთ ხაზზე დამ-  
წყრივებულ სოფლებისთვის ახმეტიდან მოყო-  
ლებული ვიდრე ხილსამდე; და აუც უფრო თუ  
ლავის მარჯიდან უახლოვდებით სიღნაღის  
მასრას—მევენახეობა იღებს უფრო ინტენსი-  
ურ ხასიათს.

ჩენ სამწუხაოდ უტყუარი ცნობები  
ვენახების და მევენახეთა. რომელნაბის შესა-  
ხებ არ მოგვპოვება და მთელი ჩენი  
დასკენები უნდა დავამყაროთ იმ ცნო-  
ბებს, რომელთაც იქვეყნებდენ სხვადასხვა  
სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები. იმ  
ენიბათა მიხედვით საქართველოში ამ უამაღ  
ანგარიშობენ ვიდრე 65000 დესეტინა ვენახს,  
საიდანც თბილისის საგუბერნიო მევენახეო-  
ბის და მეღვინეობის კომიტეტის მიერ 1913 წ.  
გამოქვეყნებულ ცნობათა მიხედვით, 32485  
დესეტინა ვენახს ე. ი. თავმის ნახევარი  
თბილისის გუბერნაციის ანუ აღმოსავლეთ სა-  
ქართველოში ითვლება. იმდე კომიტეტის ცნო.  
ბით 1913 წლისთვის კახეთში უნდა იყოს

(თელავის, სიღნაღის და თათაწის მაზრებში)  
20243 დესეტინა ვენახს. ცფიქრობთ, ომმ ეს  
ცნობები სინამდვილეზე ახლოს ვერ უნდა იყ-  
ვნენ (როგორც ნამდვილათ ვიცით სოფ. ვე-  
ლისცხახას, გურჯაანის და კარდანახის რაიო-  
ნებში ეს ცნობები 20 პროც. ნაკლებია ნამ-  
დვილზე.) ყოველ შემოხევაში მთელი ეს ვე-  
ნახები განაწილებულია შემდეგ ნაირად: წი-  
ნა მხარს ე. ი. ალაზნის ველს უჭირავს 19508  
დესეტინა, ხოლო უკანა მხარის 7 სოფელს  
735 დეს. უკანა მხარის მევენახეობაც არ არის.  
მცხოვრებთა შემოსავლის ერთად ერთი წყა-  
რო და როდესაც ვლაპარაკობთ კახეთის მევე-  
ნახეობაზე, მცხოვრელობ. გვაჟს განსაკუთრებულ  
ალაზნის ველი ანუ წინა მხარი. თუ საქარ-  
თველის სხვადასხვა კუთხეში ჯერ საბოლოო  
იტყვა არ თქმულა, მეურნეობის რომელ დაგეს  
უნდა დაადგეს იგი კუთხე თავის გეოლოგიუ-  
რი და კლიმატიურ პირობების მიხედვით,—  
სამაგიდულოდ კახეთის წინამხარის შესახებ  
მტკიცედ უნდა იოქნას, რომ ეს კუთხე მარ-  
ტო მევენახეობისთვის არის გამოსადევი— მე-  
ტალრე ალაზნის მარჯვენა ანუ მარცხე-  
ნა ნაპირის ბუნება შესამჩნევად ვანირ-  
ჩევა გამოლმა მხარისგან. მისი მდიდარი  
ნიადაგი, გადაშლილი მინდვრები, სარწყავ  
წყლის სიუბვე და მოსახლეობის შედარები-  
თი სითხელე შესაძლებლად ხდის შერეულ  
მეურნეობის წარმოებას (მევენახეობა, წინა-  
თვესა, მესაქონლეობა, მეხილეობა და სხვა).  
აქაც მევენახეობა არ შეაღებს ერთად-ერთ  
საარსებო წყაროს, თუმცა მას უკირავს თვალ-  
საჩინო ადგილი (სლაზან გარმა მდებარე 12  
სოფელს აქნა 335 დესეტინა ვერს). ლვა-  
ნიც თავისი ღირსებით შესამჩნევად ვანირ-  
ჩევა. გომოლმა მხარის ღირსებისგან (გარდა  
ყვარლის ამდგრიმე თაოგის ვენახებისა, რო-  
მელთა ღირსებიც ცნობილია მაღალ ღირსე-  
ბის ღვინოთ). სამაგიდულო ალაზან გამოღმა  
მხარე ტოპოგრაფიულ და კლიმატურულ პირი-  
ბათა ზეგვალენით განსაკუთრებით მევენა-  
ხეობის წარმოებისათვისაა შექმნილი. ხელილი  
ვერ ვარობს რომ მენილეობას მივყოთ ხელი,  
საბასრენთ ან სათავაქოთ წყალი არ მო-  
ვეკებინდა. საქონლის მოშენება საძოვარი  
შიშის სივიწროვისა გამო შეოძლებელია, ხენ-

ଓঁ শুভ্র পুরুষের সম্মতি করে আবেদন করা হচ্ছে।

അമിത്രുമി മാർത്ത് ഗീ ചാര്യഗാബി കിരിക്കുംബിലെ  
സാക്ഷിയാർക്കിഡി ഉഭാ പ്രാജ്ഞിലിപി, റൂമ ടിനാ മഥാർക്ക്  
മേഘാനാഖോർഡാ ഗാഖാദാ ടാവിസ് ശ്രേഘണിശ്വലിസ് പ്രാ-  
ക്കറാട. മാറ്കരാമി ചാര്യഗാബി കിരിക്കുംബാ ഗാർഡാ അറിസ്  
ശ്രതി ചാര്യമേഡാ, റൂമേലിപ്ര വാലഡേബ്ലൂലാൾ  
ക്കെലിസ കാബേജ് ഗാന്സാക്യൂട്ടർബിറ്റ മേഘാനാഖോർഡാം  
മിഡ്യൂസ് - ഗീ നാംചാർമ്മേഡിം മാലാലി ലിൻസേഡാ. കുഞ്ച്  
മിഡിൽസ് എ അൾ ശൈറ്റേഡ് കുഞ്ചരി ലൗബൻ സി  
സൈറ്റേറാടാ ശൈറ്റേഡാ എ മിഡിഷ്യൻ ശ്രേഘാളും-  
ക്കുംബിസ ശ്രേഘാളും സൈറ്റേരാടാശൈറ്റേഡാ ലാപാരകു സ്ക്രാ ലൈ-  
നോഗ്രാറ്റാ ശൈറ്റേരാടി, മാനുലു ലാബ്രിഷ്നാബാ,  
കുമി സാക്ഷിയാർക്കിഡി ഗാഖാഡുംനാ, റൂമി മേലുന്നേ-  
റിസ ഒഫ കിരിക്കുംബി ട്രിസി മിഡേബ്ലൂലം ക്രാ-  
ഡുംഗ്രിഫിം കൂ, എസ് ജുക്കേരി റൂമി ഗ്ലാസ്കേബാ, മാനുലുഡ  
ഡാക്യൂമെന്റേഷാഡേബ്ലൂലം മാസലാമി, റൂമുരിപ്ര കുഞ്ച് ദാ-  
ംകാർശൈറ്റേഡ ഗാഗ്വാജേസ്, മിഡിൻഡാ ഫാരിത ദാംചാരി  
മിത്രേല റൂസേറ്റിഡി, ശ്രീജേസ് പ്രാജ്ഞാലാ ട്രിനിപ്പേഡ് പ്രാ-  
ഡില റൂസേറ്റിസ് സാഥലുംഗ്രാഫി ഡിസ് മേതുന്നേരാബാം  
ഡാ ലാഡാരുംബുലാരാ റൂഗമരി റൂസേറ്റിസ് ഇസ് ഡാ-  
ംസാക്കുംതേ ഗ്രേറ്റോപിസ് ഭേദം മുന്നും മേഘാനാഖോർഡാ  
മേഡിന്നേരാബിസ് സ്ക്രേലാലിസ്കും മിഡേ സാജ്ജേതേബം  
ലിൻകുഡിഡി ലൈൻസാം.

ალაზნის მარჯვენა მხარეს ცეკვანახობის ფარგლებად ითვლება (ახმეტიღან ვიღრე ხილსამდე) 19 სოფელი 15260 დეკეტინა. ვენა- ხების დამტუშევება კახეთში საუკეთესო წესით სწარმოებს და შეიძლება ითქვას, რომ ზოგის ერთი ენახები ხშირად ამ ჩამოუყარება სა- ფრანგეთის საუკეთესოდ დამტუშებულ ვენა- ხებს; თუმცა. ჩვენდა ს სწუხაროდ, ვენახების დამტუშება ჩვენში უფრო წმინდავლია, რაღან სკუთარი ცოდნა და გამოცდილება ცოტა თუ ვისმეს აქვს. მეტადრე იმის დაწყების წინ ერთმანეთის წაბაძლობით და ერთგვარი შე- ტოქეობით ერთი-მეორეზე უკეთესად ამჟ- დავებდა კახელი მევენახე ვენას. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითებს გვაჩვენებენ სოფ. კარდანახი, გურჯაანი. აქ საჭიროდ გათვლით აღვნიშვნოთ ორი მევენახე—ვენასი არშეინ თუ შეიძლება ასე ითქვას—ს. გურჯაანის მეურნეობის ლეგენდა მუხარაშვილი და გიორგი

ნაცელაშვილი, რომელთა ვენახებიც ყუველ ჭულიწადას წარმოადგენერ ნიმუშს მუკათხბასას, დაკვირვებისას და საუკეთესო არან დამუშავებულნი მუდამ — მათი მეცადნეობა ღირსია აღნიშვნისა. ვენახებას, ეგრძოსულ ჭესით დამუშავების შესწავლაში, ვაზის წამლობაშა და ამ დარგში ზოგიერთ ელემენტა ლურ კოდნათა გაგრულებაში დიდი როლი ითამაშა კახეთში ყოფილ საუდელო, ეხლა სახელმწიფო მამულებმა. ბევრი რამ საკირო და სასარგებლო წესი მუშაობისა გადიღეს აქმდან. დიდი დამსახურება მიუღივთ ამ მამულებს კახეთის მევნახეობის წიაშე. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ სახელმწიფო მამულის მმართველებს და ცდილობდნენ, რომ კახეთის მევნახეობის წინსვლას მუდამ წინ მიუძღიდნენ და არა კუდში მისდევდნენ. მაგრამ სამწუხაო სახელმწიფო მამული თუ იქამდი იმის გვასწავლიდა, თუ ვენახი როგორ უნდა გაედოდეს, დღეს იმას გვასწავლის თუ იჯროგორ უნდა გაფუჭდეს.

დამუშავების მხრივ, როგორც თავიდანვე  
ალვნიშვერთ, რაც უფრო თელავის მაზრის  
სიღნაღმისაკენ მოიწევთ, ვენახები უფრო ინ  
ტექნიკურია დამუშავებული. მეტადრე გან-  
სხვავება თვალსაჩინო ხდება შარა გზით მო-  
გზაურობის დროს. ს. ურიათებნიდგან რომ  
შემოსვალი მუკუჭნის ვენახებში. აქ ხშირად  
ჰქვდებით მრთულ გაბმულ ვენახებს, საუკეთ-  
სოდ დამუშავებულებს და რამდენადაც უახლოვ-  
დებით გურუჯანით კარდანას. იმდენად რწმუნ-  
დებით, რომ ამ სოფლებში, ვარდა იშვიათი  
გამოაკლისია, ყველა თავის ლორჩედ სხლია  
ვენახს, სწორის, თოხნის და სხვა. მოსავალიც  
სიღნაღმის მაზრაში თითო დასეტინაზედ შე-  
საჩნიავად მერი მოიდის ვარდი თელავისში.

„ასანიშნავა, რომ რაც ომი დაიწყო,  
გარდა იმისა რომ ახალი ვენახების გაშენება  
მთლად შეჩრდა. ძევლი ვენახებიც ბერია  
სრულად განადგურდა, ამოვარდა. უმთავრე-  
სი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მთელი  
მშრომელი მარჯვენის მობილიზაციის დროს  
ვენახებში მომუშავე აღარავინ დარჩა. სწორედ  
ამავე ხანაში კახელი ქალი, რომელიც აქვთ  
ბამდე იშვიათ შემთხვევაში თუ გავიდოდა ვე-  
ნახში სიმუშაოთ, იძულებულია ხშირად შაბა-

ამნის სასხურებელ აპარატ აკიდებული სწავ-  
ლიდეს კონახს. ხშირად ამ ხანებში ნახაფით  
მოვარიან ღამეს, რომ კახელი გლეხები ვე-  
ნახს სარავანენ.

არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელ-  
მაც უსათურიდ დიდი მნიშვნელობა, იქნია  
კახეთის მევენახების ზრდის შეჩრეპაში. ეს  
გახლავთ ვამწვავებული პურის საკითხი. რო-  
დესაც ჩრდილო-კავკასიის პურს გურჯანელი  
მევენახე ფუთს 1 მანეთად ჯა კიდევ 5 აკლე-  
ბადაც ყიდულობდა, ხოლო ღვროს კი პურ:  
თან შედარებით შესამჩნევად მეტ-ფასში იმავე  
ჩრდილო კავკასიოლ აყიდებდა — ჩენი შხვნელ-  
მთხველი რუსთიდან შემოსულ იაფ-პურს  
მეტოქეობას ვერ უწევდა და ძილებული იყო  
მიერანებინა ვენახისთვის, ხოლო ხენა-თესვა-  
ზე ხელი ავლო. სამაგიროდ როდესაც ერთის  
მხრით გარეშე ბაზრიდან პურის შემოტანა  
სრულიად შესწყდა და მერას მხრით ღვინის  
გარეშე გააზრიც დაიკეტა, მევენახე ჩაგრძა  
უშერე ბრდებულობაში და მთლიად მხვნელ-  
მთხველის ნება სურვილის განკარგულებაში.  
დაირღვა პურისა და ღვინის მოყვანა ნაკლებ  
სსარგებლო შეიქნა. ამის დასამტკიცებლად  
საქმარისია კსოვათ, რომ ომადე 1 ფუთი  
ღვინონ იცლებოდა ვიდრე 3 ფუთ პურზე, და  
ხოლო 1918 წელში 1 ფუთ ხორბალში აძლევ-  
დნენ 1-ნახევაო ფუთ ღვინოს (საპალნერდ  
6—8 კოდი პური). ამის მეოხებით თითქმის  
ყველა მევენახე შეეცადა პურის მოყვანასაც  
და ამ მხრივ გასაოცარი ცვლილება მოხდა  
კახეთის მეურნეობაში, რასაც ნათლად გვა-  
ჩვნებს შემდეგი ციფრები: 1916 წელს კახე-  
თის რკინის გზით შესულა კახეთში 1.071.300  
ტუთი ხორბლეული. 1918 წელს კახეთის  
რკინის გზის კახეთიდან გამოუტანია ნახე-  
ვარ მილიონადმდე ფუთი ხორბლეული. რა თქმა  
უნდა ამ გარემოებამ შესამჩნევად შეამცირა  
ვენახების როდებობა. ჩვენ აქ მხედველობაში  
არ ვიღებთ აგრძორული რეფორმის შეოხებით  
ჩამორთმეულ ვენახებს, რომელნიც კამეჩებმა  
სახნავებათ აქციებს. (ქაბულოშვილის კაისევშ-  
ში, ანდრონიკაშვილების გურჯანებში, ირაკლი  
ჭავჭავაძის სანერგე მუკუშანში და მრავალი

სხვა). მათი რიცხვიც ორ ასეულ დესტრა-  
ზედ ნაჯლები არ უნდა იყვნეს.

ვენახების რაოდენობის შემცირება გა-  
მოიწვია აგრძოვე როგორც საწამლებელ ია-  
რალ მანქანათა და მასალათა უშორიობაშ  
ისე ჭიგვის სძმიერებ და უშორიობაში. დას-  
ასრულ უნდა კსოვათ, რომ უსაშინელეს, მტე-  
რი ვენახებისა — ფილოქსერა შემონადი კახეთის  
ვენახებს და ზოგიერთი რაიონებში ბეკრი ვე-  
ნახები მოსპონ (მაგალ. ველისციხეში) ყოველი-  
ვე ზემოხსენებული ჩენის აწმენით იმის მა-  
ჩივენებელია, რომ კახეთის მევენახება კრი-  
ზის განიცდის და დიდი საფრთხე მოელის თუ  
მას მიზან შეწყნილი მტკიცე და გაბე-  
დული დამხმარე მუჯარელობა არ აღმოჩენიეთ-  
მოთ უფრო საშიშია ჩენი მდგომარეობა, რომ  
ჩენი მევენახება შეტათ წვრილ მამულიანი  
მევენახებამა და აიტომ ყოველივე პატარა  
მევენახე ცველა ჩამოთვლილ დაბრკოლებათა  
წინაშე ადვილად შესაძლებელია შეშინდეს და  
მაინების თავი ისეთ ძეირფას და ლამაზ და-  
რგს, როგორიც არის მევენახება. მიზან შე-  
წყნილად მიმაჩრია აქ მოვიყვანო ცნობები,  
რომელიც ნათლად გვაჩვენებენ, თუ რა წვრილ  
მევენახებასათან გვაქს ჩენ კახეთში საქმე-  
რაიონი აღებულია თელავის და სიონალის  
მზრის შეაგული, სახელდორ ველის-ციხის  
ჯგუფი (მუკუშანი, ახალშენი, ველისციხე, ჩუმ-  
ლაყი). თუ მაგალითად გურჯანებარდანხი თო-  
თო მევენახეს მეტი მაბული აქვს, ვიდრე ჩვენ  
მიერ მოყვანილ ცნობაში სჩინს, სამაგიროდ  
თელავის გაზრიაში უფრო წვრილი მევენახენი  
არიან (გრძალესობა შეავს სახეში). ველის-  
ციხის შემც. გამსეს. ამ. მიწის მზრმელს და  
აზომინა თავის წევრთა ვენახები და აღმოჩნ-  
და, რომ 1919 წევრიდან ისეთ წევრთა რიც-  
ხვი რომელთაც აქვთ 1—600 კვ. სავ. ( $\frac{1}{4}$  დე-  
სეტინა) უდრის 278, (16, 44%) 600—1200  
( $\frac{1}{2}$  დესტ.), უდრის 553 (32,7%), 1200—1800  
( $\frac{3}{4}$  დესტ.), 353 (20, ==87%), 1800—1 დეს-  
(—1 დეს.—189 (11,17%), 1—2 დეს. 235  
(13,8%), 2—3—35 (3,13%), 3—5—16 (1%),  
5 დან ზევით—14 (0,82 პროც.), ანუ ერთ  
დესტინაციებიდან ნაკლები 81 პროც., ხოლო მე-  
ტი 19 პროც. იმავე ცნობებით წვრილი 39-

ନୀତେବି ମେଟି ଚିଲ୍ଲାଦ ଦ୍ୱାରାମୂଳିଶାସ୍ତ୍ରକେଳିଆ, ମର୍ମିଗା-  
ଲ୍ଲାପ ଶୈଳେଶାର୍ଥିମାତ୍ର ମୁଖ୍ୟମିଳ କ୍ଷେତ୍ରକୁହାରୀଙ୍କ ପାର୍ଶ୍ଵରାଜ୍ୟର  
ଯୁଦ୍ଧରେ ମେତ୍ରି ମର୍ମିକାନ୍ତରେ (-2 ଏକ୍ଷେତ୍ରିନାମଣ୍ଡଳୀ)।

(ଫାସାଦର୍ତ୍ତଳୀ ଶ୍ରେମଲ୍ଲେଖ).

### 3. წინამდლვრიშვილი

జెమ్‌బోర్డు

— საბჭოს შუამდგომლობის თანახმად  
მთავრობის ეკონომიკური კაშისია შეცდება  
ლინის აქციზის საკითხის განხილვას და პრინ-  
ციპალურათ სტრონ საჭიროთ ლინის აქციზის  
შეტყირება, ხოლო შეტყირების რაოდენობის  
გამორკვევისათვის განსახილველათ გადასცა  
სპეციალურ-კომისიას საბჭოს მხრივ წარმომა-  
დგენერალათ წარგენზანს საბჭოს თავ მჯდომარე-  
ბ-ნი ი. ზ. ანდრონიკაშვილი. სპეციალური  
კომისიის პირველ კრება შესდგა 29 მაისს,  
რომელსაც დაქმუჩნევ ვაჭრობა მრეწველობის  
წარმომადგენელი ბ-ნი აღმიარება, ი. ზ. ან-  
დრონიკაშვილი, კ. მ. ბერეკაშვილი და ფინან-  
სთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. კოზლო-  
ვაძე.

— საბჭოს შეუძლებომლობის თანახმათ,  
მთავრობის ეკონომიკურმა კომისიამ საჭიროთ  
სცნო გაგზავნილ იქმნას საზღვარ გარეთ სპე-  
ციალისტთა კომისია რათა გაიცნონ და შეის-  
წავლონ ყოველივე ის, რაც გაკეთდა ახალი  
მედინინება — მეცნიერებაში ამ უკანასკნელ  
ხუთი წლის განმავლობაში, რადგანაც ომიანო-  
ბის აქტ არავითარი ცნობები ამის შესახებ  
ეფრაპილგან არ მოსულა.

— საჭირო აღძრა თხოვნა შეწარ მოქმედ  
დების სამინისტროს წინაშე, რათა ქიმიკოს  
აგალიშვილს საშუალება მიეცეს სამინისტროს  
ლაბორატორიაში მოაწყოს გმოკვლევანი ნა-  
ცართან ბრძოლისათვის ახალი და უფრო ილი-  
საშუალებების უსასტარია.

— պարմենով; Տէղական ծընծռով; Բլուսայիկ-

— მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მართვა: ა. საფრანგეთიდან 400 ვერმილენის აპარატი და 400 გოგირდის საბერველი, რომელიც განახვილა ერთა ბაზა და კონცერნატოვებთა შორის; ვერმ. აპარატები 3500 მან. და საბერველები 340 მანეთან ცალი. ბ. 3000 ფუთი გოგირდი, „სუბლიმე“ რტალი დღება; სახელმწიფო მაშტაზებისა სპიროებისათვისა იღონ 1500 ფ., ხოლო დანარჩენი კონცერნატი ბაზე გადასცა სოფლებში დასარიგებლათ; აქცევაზე დაახლოებით 1000 ფუთი კახეთის გაეგზავნა და 500 ფუთი დასავლეთ საქართველოს.

— მიწათ-მოქმედ. სამინისტრო იძენს  
ჭიათურის შავი ქვის სააკციონერო საზოგა-  
დოებისაგან **50,000** ფ. შაბაინის ფხვნილს,  
რომ მომავალ წლისათვის უზრუნველ-ჰყოს  
მევენახენი. მოსალოდნელია, რომ ეს შაბაი-  
ნი დაჯდება ადგილობრივ მიტანით არა  
უფირეს **700** მანეთისა. ეს შაბაინი ლონდო-  
ნიდან უკვე მოსულა და მეტა მაღალი ხა-  
რისხისაა.

— 29 မაისს საშინელმა ნიაღვაჩხმა დღა-  
აზარალა სოფლები: კარდანახი, ბაკურიცხევი,  
ვეჯინი და სხვა. მოდიდებულმა ხევებმა წა-  
ლიკებს ნათესები და ვენახები.

— მიწათ ბოქმედ. სამინისტრომ გადასწყვეტა პლაკატების გამოცემა ხელის და ვაზის ავალმყოფობის გაცნობის პოპულიარიზაციისათვის; გამოცემა დავალა ენტომოლოგიურ ბიუროს.

— მთავრობის დადგენილებით: ა) საქართველოს სანერგე გარდაქცეულია შეღანე-მევენახეთა სადგურად და დატეკიცებულია შტატები, რომელის მიხედვით მოწვეულ იქმნებია: 1, გამგე, 2, თანაშემწე გამგისა, 3, ქიმიკოსი მელვინე და 4, მსწავლელი მევენახე; ბ) ჩუმლაყის სანერგე ერობისაგან ვადადის მიწათ მოქმედების სამინისტროს ვანკარგულებაში, რომელსაც მხედველობაში აქვს მოაწყოს ფართო საზერგე.

— საბჭომ მოიწვია საქმის მუშაობებისათვის კანკულარიაში მარ. ნანუქაშვილისა.

— ვ. რცხილაძის ოჯახისათვის დახმარების აღმოსაჩენად, საბჭოს ინიციატივით მოწვეულ იქმნა კომისია იმ დაწესებულებათა გან. სადაც თანამშრომლობდა განსვენებული; კომისიაში შედინ საბჭოს თავმჯდომარე ო. ჭ. ანდრონიკაშვილი, ქართული სამეცნიერ საზოგ. თავმჯდომარე ს. ნ. ყაზახაშვილი, სახალხო უნივერსიტეტის ლექტორთა კოლლეგიის თავმჯდომარე ს. უორენლიანი, კავკასიის სამეცნიერ საზოგადოების წარმომადგენელი ე. ს. ოსელიანი, ყოფილ მელვინე-მევენახობის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ეგოროვი და საბჭოს მდივანი ს. მ. ჩოლაყაშვილი.


საქართველოს მევენახე-მელვინეთა ყრილობის საბჭოს წევრმა მოქალაქე გიორგი წინამძღვარმა კრებას გააცნო ხსენებულ საბჭოს მნიშვნელობა ჩვენი მევენახეობა-მელვინეობისათვის, რომელიც ამ უამაღლეს დასხვადასხვა გარემოებათა გამო დიდ კრიზისს განიცალის, და განუმარტა, რომ, საბჭოს უფრო ნაყოფიერ მუშაობისთვის და მისი უფრო მეტი გავლენის მოსაპოებლად მთავრობის წრეებში, საჭიროა მევენახეთა პროფესიონალური კავშირების დარსება სოფლად.

კრებამ გამოსთხვა სურვილი შეავშირების შესახებ და ამ მიზნით იორჩია შვეიცარიაშვილის პირისაგან შემღვარი ველისციის რაიონის მელვინე-მევენახეთა საბჭო, რომელსაც მიქმართავს ყოველი მევენახე ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხის შესახებ და ხსენებული საბჭო თავის მხრით იქონიებს პირდაპირ დამოკიდებულებას საქართველოს მელვინე-მევენახეთა ყრილობის საბჭოსთან. ველისციის რაიონის მევენახე-მელვანეთა საბჭოში აჩქულ იქმნენ: ველისციის თემის მხრით—ლევან შალაშვილი, შემნ.-გამსესხებელ ამხანაგობის მხრით—ნიკოლოზ გიგიმურელი, ახაშნის თემის მხრით-მიხეილ ნიკოლოზის ძე წინამძღვარი, მევენახეთა მხრით—ფირზ მამისა შვილი, წყალობ აფაქოვი, ირსებ კარანახლიშვილი და შაქრო სხვ შვილი.

მოანგ. სარქისოვგო.

## ნერილი ვალის სისიდან

1920 წლის აპრილის 16-ს შესდგა ველისციის რაიონის მევენახე-მელვინეთა კრება.



კონკრეტული საზოგადოება

# „კახეთი“

საზოგადოება „კახეთი“ რესეპტორი 1895 წლიდან და  
ს ქამად 246 მეტასე ითვლება წევრად. საზოგადოება  
„კახეთი“-ს წევრობა შეუძლიან ეცელდა კახელ მეცენატებს  
და აკრეტივულ ეცელდა მას, ვინც კი ჩაძირებს საზოგადო-  
ების სამდგრად კახურ ღვინოს ერთგვა წლივ.

მთავარი კონტროლ საზოგადოება „კახეთი“-ს მო-  
თავსებულია თბილისში, დამჭურებულ კონსას ქუჩა № 5,  
ტელეგრონი № 13—23, ხოლო სარდაფი-კი გოგოლის  
ქუჩაზე № 63, საკუთარ მენობაში. ტელეგრაფით მისა-  
მართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი“-ს მთავარი საწელი კა-  
ხეთი თო ალაგაძე არის მოწეობილი: თელავში „კა-  
ხეთი“-ს ბიურო ალექსანდრე მაქაშვილთან და კარდა-  
ნახში, „კახეთი“-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.